




შპს "მაგთიკომი"
№ ED-22/05/19-009
19-05-2022 წ.



მაგთიკომი
MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბეჯაურს

წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს

ბატონო კახი, ბატონო ვახტანგ, ქალბატონო ნათია, ქალბატონო ეკატერინე, ბატონო ივანე,

წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - „მაგთიკომი“) შენიშვნებს/კითხვებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია“) მიერ შემუშავებულ „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 30 ივნისის N6 დადგენილების ცვლილებების პროექტთან (შემდგომში - „პროექტი“) დაკავშირებით.

1. თქვენთვის ცნობილია, რომ არსებობს 5G ქსელების და საჰაერო ნავიგაციის აპარატურის ინტერფერენციასთან დაკავშირებული საკითხი, რაც დაფიქსირებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში. როგორც მოგეხსენებათ, ინტერფერენცია გამოწვეულია იმ სიხშირეებზე, რომელზეც საქართველოც გეგმავს 5G-ის ოპერირებას. კომისიის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ საკითხი არის მოკვლევის პროცესში, უახლოეს მომავალში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი დასკვნა და ხელშეშლების არსებობის გამორიცხვამდე, აუქციონი არ გამოცხადდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, გვაინტერესებს რა ეტაპზეა საკითხის შესწავლა და მასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია.
2. პროექტის მიხედვით, წარმოდგენილია მეხუთე თაობის მობილური კავშირგაბმულობის ახალი სიხშირული ზოლი 24250 MHz - 27500 MHz (n258), სადაც ხელმისაწვდომ რესურსად განსაზღვრულია 1000 MHz. როგორც მოგეხსენებათ 3GPP სტანდარტების მიხედვით, მოცემულ სიხშირულ დიაპაზონში (FR2) რადიო არხის ზოლის სიგანე შესაძლებელია იყოს 400MHz-მდე, განსხვავებით FR1-ისა, სადაც მაქსიმალური 100MHz-ია და რომელშიც ხდება თქვენს მიერ უკვე განსაზღვრული 3400MHz-3800MHz-იანი ზოლი, 400MHz-იანი ჯამური ხელმისაწვდომი რესურსით. რატომ არ არის 24250 MHz - 27500 MHz (n258) ზოლში ხელმისაწვდომი რესურსი იგივე პროპორციულ შესაბამისობაში (არხის მაქსიმალური დასაშვები ზოლის სიგანე, იგივე სიხშირულ დიაპაზონში ჯამურ ხელმისაწვდომ რესურსთან მიმართებაში) მოყვანილი, როგორც ესაა 3400MHz-3800MHz ზოლის შემთხვევაში? თუ სხვა რამე ხელშეშლელი ფაქტორებია (დიაპაზონი არ არის სრულად გამოთავისუფლებული, არსებულ ან

მომიჯნავე დიაპაზონებში მომუშავე ტექნოლოგიებთან და სისტემებთან ნეგატიური /ხელშემშლელი კვთებია), გთხოვთ, განგვიმართოთ დეტალურად;

3. ასევე გთხოვთ, გაგვიზიაროთ კომისიის ხედვა/სტრატეგია 24250MHz - 27500MHz დიაპაზონში გამოტანილი სიხშირეების განაწილებასთან დაკავშირებით, იქნება ეს გეოგრაფიული კონკრეტული არეალების მიხედვით, თუ მთელი ქვეყნის დონეზე ან თუ განიხილავთ სხვა დამატებით მიდგომებსაც.

პატივისცემით,

ანდრია ზოდელავა
გენერალური დირექტორის მოადგილე